სივაქი პირის სისუფთავე და ალლაჰის კმაყოფილების მიზეზია

აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «სივაქი პირის სისუფთავე და ალლაჰის კმაყოფილების მიზეზია».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ნასაიმ და აჰმადმა]

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ არაქის ხის ტოტით (სივაქით) და მსგავსი საშუალებებით კბილების გასუფთავება წმენდს პირს ჭუჭყისა და უსიამოვნო სუნისაგან. და ის (სივაქი) ალლაჰის მონისადმი კმაყოფილების მიზეზთაგანია, რადგან მასშია ალლაჰის მორჩილება და მისი ბრძანების შესრულება, ასევე სისუფთავე, რომელიც უზენაეს ალლაჰს უყვარს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3588